

ON THE ISSUE OF DATING THE “MARTYRDOM OF RAZHDEN”

„რაჟდენის მარტვილობის“ დათარიღების საკითხისათვის

Murad Mtvarelidze

Doctor of Philology,

Professor of Gori State University,

Chavchavadze St. 53, Gori, 1400, Georgia,

+995595484037, mtvarelidze.murad@gamil.com

<https://orcid.org/0000-0002-2335-6312>

Abstract. According to the opinion established for decades in Georgian philological science, the 12th century was considered the date of writing the hagiographic text about the first martyr Razhden, however, in the early 60s of the last century, the Georgian scientist, Professor Mikheil Kavtaria, expressed the opinion that the “Martyrdom of Razhden” was not created until the 18th century and that its author was the famous clergyman, Catholicos Besarion Orbelishvili. In this regard, the researcher brings certain arguments, the validity of which, we believe, requires some correction.

“The martyrdom of Razhden” has been touched upon by a number of scientists, of whom almost all researchers believe that it should have been created in the 11th-12th centuries. An exception in this regard is the approach of the great Georgian scientist Korneli Kekelidze to the text of interest to us. Academician K. Kekelidze somewhat confused the issue of dating the text of “Rajden’s Martyrdom”. The scientist did not have a single opinion when dating this monument, which is why his arguments are quite contradictory.

The aim of this work is to reconcile the existing research on “RajdenisMartyrdom”, to observe and analyze the editions of the text of the work and to draw appropriate conclusions.

Keywords: Razhden, Besarion Orbelishvili, Mikheil Kavtaria.

მურად მთვარელიძე

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,

გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი,

ქ. გორი, ჭავჭავაძის ქ. 53, 1400, საქართველო

+995595484037, mtvarelidze.murad@gamil.com

<https://orcid.org/0000-0002-2335-6312>

აბსტრაქტი. ქართულ ფილოლოგიურ მეცნიერებაში ათეული წლების განმავლობაში დამკვიდრებული შეხედულების თანახმად, რაჟდენ პირველმოწამის შესახებ აგიოგრაფიული ტექსტის დაწერის თარიღად მიჩნეული იყო XII საუკუნე, თუმცა, გასული საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში ქართველმა მეცნიერმა, პროფესორმა მიხეილ ქავთარიამ გამოთქვა აზრი, რომ „რაჟდენის მარტვილობა“ XVIII საუკუნემდე არ შექმნილა და რომ მისი ავტორია ცნობილი სასულიერო პირი, კათალიკოსი ბესარიონ ორბელიშვილი. ამასთან დაკავშირებით მკვლევარს მოაქვს გარკვეული არგუმენტები, რომელთა საფუძვლიანობაში ვფიქრობთ გარკვეული კორექტირების შეტანაა საჭირო.

რაჟდენის წამებას არაერთი მეცნიერი შეეხო, რომელთაგან თითქმის ყველა მკვლევრის აზრით, ის შექმნილი უნდა იყოს XI-XII საუკუნეებში. ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენს დიდი ქართველი მეცნიერის კორნელი კეკელიძის მიდგომა ჩვენთვის საინტერესო ტექსტისადმი. აკადემიკოსი კ. კეკელიძე გარკვეულად დააზნია „რაჟდენის

მარტვილობის“ ტექსტის დათარიღების საკითხმა. მეცნიერი ამ ძეგლის დათარიღებისას ერთი აზრისა არ იყო, რის გამოც მისი არგუმენტები საკმაოდ წინააღმდეგობრივია.

წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს „რაჟდენის მარტვილობის“ შესახებ არსებული გამოკვლევების ურთიერთ შეჯერებას, დაკვირვებასა და ანალიზს ნაწარმოების ტექსტის რედაქციებზე და შესაბამისი დასკვნების გამოტანას.

საკვანძო სიტყვები: რაჟდენი, ბესარიონ ორბელიშვილი, მიხეილ ქავთარია.

შესავალი. რაჟდენ პირველმოწამის შესახებ უძველეს ცნობას ვხვდებით „ქართლის ცხოვრებაში“. ჯუანშერი გვაუწყებს: „ესე რაჟდენ იყო მამამძუძე ვახტანგის ცოლისა, რომელიც პირველ მოყვანა სპარსთა მეფისა ასული; და მოიქცა იგი ქრისტიანედ და იქმნა იგი დიდად მორწმუნე; და იყო იგი ბრძოლასა მას შინა ძლიერ. შეიპყრეს იგი სპარსთა და აიძულებდეს, რაითამცა უარეყო ქრისტე, ხოლო მან წმიდამან აღირჩია წარუვალი იგი დიდებად და იწამა ქრისტესათვის“. (ჯუანშერი, 1955: 199)

ამ ისტორიული ქრონიკის მიღმა დგას თავგადასავალი ქრისტიანობისათვის წამებული ადამიანისა, რომელმაც საქართველოში სათავე დაუდო ქრისტესადმი თავის შეწირვის ტრადიციას.

იმის გამო, რომ ჯუანშერზე ადრე რაჟდენის შესახებ რაიმე ცნობა და, მითუმეტეს, მხატვრული ნაწარმოები შემორჩენილი არ არის და რაკი აგიოგრაფიული ტექსტი რაჟდენის წამების შესახებ მე-18 საუკუნის ხელნაწერებშია შემორჩენილი, ქართულ ფილოლოგიურ მეცნიერებაში ამ საკითხებთან დაკავშირებით თავი იჩინა აზრთა სხვადასხვაობამ. ძველი ქართული მწერლობის მეცნიერული კვლევის პატრიარქი აკად. კორნელი კეკელიძე კი ერთგვარად დააბნია ამ გაურკვევლობამ, რამაც ასახვა ჰპოვა მისი შეხეულებების ცვლასა და ერთგვარ წინააღმდეგობაში. თავდაპირველად კ. კეკელიძე მიიჩნევდა, რომ ეს ტექსტი მომდინარეობდა ძველი ტექსტიდან, რომელიც თავის დროზე ლეონტი მროველს ჰქონია გამოყენებული. მეცნიერი წერდა: „ლეონტის რამდენიმე შემთხვევა ჰქონდა შეეტანა თავის შრომაში ესა თუ ის აგიოგრაფიული ნაწარმოები, მაგალითად წამება რაჟდენ პირველმოწამისა“. (კეკელიძე, 1980: 241).

კ. კეკელიძემ რაჟდენის ცხოვრების გადამკეთებელი თავის დროზე XI საუკუნის მოღვაწედ მიიჩნია. იგი წერდა: „რაჟდენ პირველმოწამის ცხოვრების **გადამკეთებელი, რომელიც XI საუკუნის მწერალი უნდა იყოს** ამბობს: საქართველოში იმდენი წმინდანი გამობრწყინდნენ, რომ დამაკლებს მე ჟამი აღრიცხვად სიმრავლესა მისა; ზოგი მათგან აღწერად არიან წიგნსა შინა უწყებისა მათისასა, მაგრამ არიან ისეთნიც, რომელნი ჩუენ არ უწყით და ზეცას აღწერილი არიან წიგნსა შინა ცხოველისაო“. (კეკელიძე, 1957: 137)

იმავე წიგნში კ. კეკელიძე რაჟდენის ცხოვრების ავტორად მიიჩნევს XII საუკუნის მწერალს. როდესაც მეცნიერი რაჟდენის წამებაში მოხსენიებულ ძველ მატანეებს ახსენებს, წერს: „ამ სახელწოდებას, **მხოლოდ შემოკლებულად ხმარობს რაჟდენ პირველმოწამის მარტვილობის ავტორიც, მწერალი XII საუკუნის პირველი ნახევრისა, როდესაც ამბობს, რომ რაჟდენი იყო სპარსი „ვითარცა ბუელნი მატანენი გვაუწყებენო**“. (კეკელიძე, 1957: 192)

შემდეგ კ. კეკელიძემ შეცვალა ეს თვალსაზრისი და მიიჩნია, რომ რაჟდენის მარტვილობის ავტორი არის მე-18 საუკუნის მოღვაწე ბესარიონ ბარათაშვილი-ორბელიშვილი და რომ ამ ავტორამდე არცერთ მწერალს არ ჰქონდა აღწერილი რაჟდენის წამება. მეცნიერი წერს: ბესარიონის „დროს იწყება ჩვენში შედგენა ქართული აგიოგრაფიული კორპუსისა, ესე იგი, ისეთი კრებულისა, რომელშიც **თავმოყრილი იქნებოდა ქართველ წმიდანთა ცხოვრება-მარტვილობანი და შევსება მისი იმ წმიდანთა თავგადასავლით, რომელთა „ცხოვრება“ მანამდი დაწერილი არ ყოფილა**. ამ საქმეში წამყვან როლს ასრულებს თვითონ ბესარიონი. მას დაუწერია მეტაფრასული

მარტვილობანი რაჟდენ პირველმოწამის, არჩილ მეფის, ლუარსაბ მეფის, ბიძინა ჩოლოყაშვილის, შალვა, ელიზბარ ერისთავებისა და ცხოვრება ისე წილკნელისა“ (კეკელიძე, 1980: 351).

კ. კეკელიძის თვალსაზრისით. „როგორც ამ მარტვილობიდან ჩანს, რაჟდენის სიმხნე და მოთმინება ძველად აღწერილი არ ყოფილა, ამიტომ ბესარიონს ძველი მასალა კი არ გადაუკეთებია, სულ ახალი შრომა დაუწერია“. (კეკელიძე, 1980: 351).

მეთოდები. სტატიაში თანამიმდევრულად არის გამოყენებული კომპარატივისტული და ტიპოლოგიური მეთოდები. კვლევა წარმოებდა კონკრეტული კრიტიკული, ისტორიული, კონცეპტის ჭრილში. ტექსტთა და მასთან დაკავშირებულ კვლევათა შედარებითი ანალიზის შედეგად გამოტანილია შესაბამისი დასკვნები. რაჟდენის წამების პარალელურად ნაკვლევა ეპოქასთან მიმართებაში ორი - „საბინინისეული“ და ორბელიშვილისეული ტექსტები და მათი შეჯერების შედეგად მიღებულია საერთო დასკვნები. ასევე გაანალიზებულია რაჟდენის წამებასთან დაკავშირებული კვლევების მიმართება კონკრეტულად ნაწარმოების შექმნის დროსთან დაკავშირებით

შედეგები. საკითხის კვლევის შედეგად შესაძლებელი გახდა::

რაჟდენის წამების თავდაპირველი რედაქცია უნდა შექმნილიყო ან მისსავე ეპოქაში ან წამების შემდეგ უახლოეს ხანებში. ამ ტექსტმა ჩვენამდე ვერ მოაღწია.

ბესარიონის მიერ შექმნილ რაჟდენის წამებამდე უთუოდ უნდა მოეღწია „რაჟდენის წამების“ თავდაპირველი ვარიანტის გადაკეთებულ ან გარკვეულწილად აღდგენილ ვერსიას, რომელიც შემდეგ საბინინმა გამოსცა.

ბესარიონ ორბელიშვილს, როგორც ამის შესახებ ანტონ კათალიკოსიც მიუთითებს, უნდა ეხელმძღვანელა ძველი მატყანეებით და წყაროებით.

მსჯელობა. როგორც ზემოთ შევნიშნეთ, აკად. კ. კეკელიძის ნააზრევში „რაჟდენის მარტვილობასთან“ დაკავშირებით ბევრი წინააღმდეგობაა, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით მეტი ჩაღრმავება და ანალიზია საჭირო. მითუმეტეს, ყურადსაღებია ანტონ კათალიკოსის ცნობა „მარტირიკაში“: ლუაწლსა პირველ მოთხრობილისა განგვიახლებს ნეტარი ბესარიონ მამამთავარი“.

ისმის კითხვა, როგორ გავიგოთ აქ სიტყვები: „პირველმოთხრობილი“ და „განგვიახლებს“. კ. კეკელიძის აზრით განახლებაში „იგულისხმება „განახლება“ იმ მოთხრობისა რაჟდენის შესახებ, რომელიც მოცემულია ვახტანგ გორგასალის ისტორიაში“ (ქართლის ცხოვრება მარიამ დედოფლისა, გვ. 179-180).

„გრძელი შესავალი, პათოსური ადგილები და მოთხრობის თემიდან გადახვევ-გადმოხვევა დამახასიათებელი თვისებაა მისი, როგორც მეტაფრასტული ნაწარმოებისა. ავტორს ხელთ ჰქონია ცხოვრებანი ქართველთანი, რომელსაც ის აგრეთვე ძველს მატყანეს ეძახის. აქედან მას ამოუღია უმთავრესი ფაქტები, ვახტანგ გორგასალისა და სპარსელების ურთიერთშორის დამოკიდებულებისა, რომელმაც იმსხვერპლა რაჟდენი. ხელთ ჰქონია მას აგრეთვე დავით და კონსტანტინეს მარტვილობაც“. (კეკელიძე 1980: 351).

ვიდრე გავარკვევდეთ თუ რა აზრისანი არიან აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სხვა მეცნიერები, გვსურს ყურადღება გავამახვილოთ მეტაფრასტიკის არსზე. კ. კეკელიძეც და სხვა მეცნიერებიც არ უარყოფენ იმ ფაქტს, რომ ტექსტი, რომელიც ბესარიონ კათალიკოსს უკავშირდება არის მეტაფრასტული. „მას (ბესარიონს“ მ.მ.) დაუწერია მეტაფრასტული მარტვილობანი რაჟდენ პირველმოწამის, არჩილ მეფის, ლუარსაბ მეფის, ბიძინა ჩოლოყაშვილის, შალვა, ელიზბარ ერისთავებისა და ცხოვრება ისე წილკნელისა“ (კეკელიძე, 1980: 351). ამ საკითხთან დაკავშირებით საჭიროდ მიგვაჩნია გავიხსენოთ მეტაფრასტის განმარტება. ყველა ლექსიკონისა და საცნობარო ლიტერატურის მიხედვით

მეტაფრასი არის: „შესწორებული და გავრცობილ-შეესებული საეკლესიო ლიტერატურული ნაწარმოები, უპირატესად ჰაგიოგრაფიული ჟანრისა.“ რაც იმას ნიშნავს, რომ ნებისმიერი მეტაფრასული თხზულება აუცილებლად გულისხმობს მანამდე არსებული ლიტერატურული ძეგლის გადამუშავებულ ვარიანტს. **ახლიდან დაწერილი ნაწარმოები მეტაფრასული ვერასოდეს იქნება.** რაკი ყველა მეცნიერი ბესარიონთან დაკავშირებულ თხზულებას უწოდებს მეტაფრასულს, რაც სამართლიანად მიგვაჩნია, ბუნებრივია, ეს გულისხმობს იმას, რომ ბესარიონი სარგებლობდა რაღაც მანამდე არსებული ტექსტით, რომელიც შეავსო და გადაამუშავა. კეკელიძე ასეთად მიიჩნევს ჯუანშერის „მოთხრობას“, რაც თავისთავად იწვევს ეჭვს, უპირველესად იმიტომ, რომ ჯუანშერის ეს მცირე სამ-ოთხ წინადადებიანი ტექსტი ვერ ჩაითვლება მოთხრობად, ის არის ერთგვარი ცნობა, ქრონიკა მომხდარი ამბის შესახებ და არა ქრისტიანული ლიტერატურისთვის დამახასიათებელი თუნდაც მცირე ფორმის ტექსტი, კ. კეკელიძის მიხედვით კი, როგორც უკვე შევნიშნეთ, ასეთი ტექსტი ბესარიონამდე არ არსებობდა, რაც ასევე ძნელად დასაჯერებელია. წარმოუდგენელია V საუკუნეში მოწამე ადამიანის მიმართ, რომელმაც, პირველმა ქვეყნის ისტორიაში, თავი შესწირა ქრისტიანულ მრწამსს და ჯვარს ეცვა მაცხოვრის დარად, ინტერესი პირველად გაჩენილიყო 13 საუკუნის შემდეგ და მხოლოდ მე-18 საუკუნეში გახსენებოდა ქართველ ხალხს ასეთი დიდი და თანაც პირველი მოწამე.

ფიქრობთ, რაჟდენის წამება მისივე წამების წლებში ან ახლო ხანებში უნდა აღწერილიყო, მაგრამ ისევე როგორც ბევრმა ლიტერატურულმა ძეგლმა ჩვენამდე ვერ მოაღწია, ასეთივე ხვედრი უნდა გაეზიარებინა ამ თხზულებასაც. ამის მაგალითად თუნდაც „შუშანიკის წამება“ გამოდგება, რომლის პირველმა ნაწილმა ჩვენამდე ვერ მოაღწია.

საინტერესოა, რას ფიქრობენ ქართველი მეცნიერები ამ საკითხებთან დაკავშირებით, რამდენად ემხრობიან ისინი კ. კეკელიძის ბოლო თვალსაზრისს.

დიდი ქართველი მეცნიერი აკად. ივ. ჯავახიშვილი მიიჩნევდა, რომ არსებობდა „რაჟდენის მარტვილობის“ თავდაპირველი ტექსტი. მართალია, იგი საგანგებოდ ამ წმინდანის შესახებ დაწერილ თხზულებას არ შეხებია, მაგრამ როდესაც მეცნიერი მსჯელობდა საისტორიო მწერლობაში და კონკრეტულად „აბოს წამებაში“ მკითხველისადმი ავტორის მიმართვის საკითხებზე, შესაბამისი ადგილი, როგორც ნიმუში მოჰქონდა სწორედ ჩვენთვის საინტერესო ტექსტიდანაც. კერძოდ კი იმ ნაწილზე, მსჯელობისას სადაც იოვანე მკითხველს მოუწოდებს ბოლომდე ჩასწვდეს თხზულებას, რადგან აბოს ღვაწლი სრულიად განსაკუთრებული მოვლენაა, იქვე შენიშნავს: „ავტორი...ამტკიცებს რომ ამ აბოს მარტვილობას განსაკუთრებული მნიშვნელობა და აზრი აქვს. სწორედ აქა ჩანს იოვანე საბანისძის ნიჭი, ჭკუა, რომ მან შესძლო ის, რაც ვერ შესძლეს ევსტათე მცხეთელის. რაჟდენისა და სხვათა მარტვილობათა გამომთქმელებმა“. (ჯავახიშვილი, 1977: 78)

როგორც ამ ეპიზოდთან ჩანს, ჯავახიშვილი მიიჩნევდა, რომ რაჟდენის მარტვილობა აბოს წამებამდეა შექმნილი.

სხვაგან მეცნიერი წერს: რაჟდენმა და ევსტათიმ „აბოსავით რწმენის სიმტკიცე გამოიჩინეს და მარტვილობის გვირგვინი ისეთ დროს დაიდგეს, როდესაც თვით ქართველ ქრისტიანთა შორისაც კი რყევა იყო. მაგრამ ვერც რაჟდენის მარტვილობის ავტორმა, ვერც ევსტატე მცხეთელის ცხოვრების აღმწერებმა ვერ შენიშნეს ის გარემოება, რაც იოვანე საბანისძემ შენიშნა. მათ თავიანთ თხზულებაში აღწერილი აქვთ მხოლოდ თვით შემთხვევა ისე, როგორც იგი მოხდა. არც საქართველოს იმდროინდელი საზოგადოებრივი ვითარება მათ არ აუწერიათ მათი ნაწარმოები მხოლოდ თვით ამბის მარტივი მოთხრობა.“ (ჯავახიშვილი, 1977: 83)

ფაქტია, რომ მეცნიერს მხედველობაში აქვს არა ორბელიშვილის ტექსტი, არამედ სხვა, ძველი, აბოს წამებამდე შექმნილი ტექსტი. იქვე მეცნიერი შენიშნავს: „ის გარემოება, რაკი რაჟდენისა და ევსტატე მცხეთელის მარტვილობათა ავტორებმა თავიანთ თხზულების დაწერა იოანე საბანისძესავით ვერ შესძლეს, მათ ნაკლად ვერ ჩაითვლება. ჩვენ იმისიც მადლიერნი უნდა ვიყვნეთ, რომ მათ თვით ისტორიული შემთხვევა კარგად და უტყუარად აქვთ აღწერილი, ხოლო ყოველდღიურ ცხოვრებაში საზოგადო მნიშვნელოვანი გარემოების შემჩნევა ადვილი საქმე არ არის. ახლაც-კი უმეტესობას ამისი ძალა და უნარი არ შესწევს, მით უმეტეს, ეს თვისება VI-VII საუკუნეების მწერლებს ვერ მოეთხოვებათ“ .(ხაზგასმა ჩემია მ. მ.) (ჯავახიშვილი, 1977: 83).

ექვგარეშეა, რაჟდენის ცხოვრების ავტორი დიდ მეცნიერს VI-VII საუკუნეების მოღვაწედ მიაჩნია.

რაჟდენის ცხოვრების ადრეული დედანის არსებობას რეალურად მიიჩნევდა დიდი მეცნიერი პავლე ინგოროყვა. მეცნიერი წერდა: „რაჟდენის ბიოგრაფიის პირველი დედანი ჩვენს დრომდე არ გადარჩენილა. შენახულია მხოლოდ რაჟდენის ბიოგრაფიის ამ პირველ-დედნიდან მომდინარე მოკლე მოსახსენებელი, შეტანილი ვახტანგ გორგასალის მატთანეში. შენახულია აგრეთვე რაჟდენის ბიოგრაფიის გვიანდელი მეტაფრასული რედაქცია, დამყარებული „ძველ მატთანეთა და „უწყებათა“ ცნობებზე“. (ინგოროყვა, 1978: 297)

შეიძლება ითქვას, რომ რაჟდენის წამების შესახებ ყველაზე უფრო დამაჯერებელი თვალსაზრისი გამოთქვა თავის დროზე პროფ. ივანე ლოლაშვილმა. მან დეტალურად განიხილა ყველა ის უმთავრესი საკითხი, რაც ძველსა და შემდგომი პერიოდის მეტაფრასულ ტექსტს უკავშირდება. მეცნიერმა დასვა კონკრეტული კითხვა: „ჯუანშერის მოკლე ჩანაწერს გარდა ქართულ მწერლობაში არსებობდა თუ არა რაჟდენის ბიოგრაფიის (ან სიმხნისა და მოთმინების ვრცელი აგიოგრაფიული საკითხავი?)“ და იქვე განიხილა ამ ნაწარმოების გარშემო არსებული ყველა თვალსაზრისი: „კ. კეკელიძე მას უარყოფით პასუხს აძლევს, კ. ინგოროყვა -დადებითს. მე მეორე მკვლევრის მოსაზრებას ვიზიარებ, - წერს პროფ. ივ. ლოლაშვილი, ამისი რეალური საფუძველი არის კიდეც. XVIII საუკუნეში კათალიკოსმა ბესარიონ ორბელიანმა (გარდაიცვალა 1735 წ) დაწერა ვრცელი თხზულება „თუესა აგვისტოსა 3 წამება და ღვაწლი დიდისა მოწამისა რაჟდენისა, რომელი იწამა ჟამსა დიდის მეფისა ვახტანგისთა სპარსთა მიერ ქართლს, სოფელსა შინა წრომს“. აქ ბესარიონი წერს: „იყო ესე სამგზის სანატრელი, ვითარცა ძველი მატთანენი გვაუწყებენ. და მიმოგანთესულობანი ესე ვითართა უწყებათანი, ნათესავით სპარსი, დიდთა და დიდებულთა მთავართაგანი“.

რაჟდენის შესახებ ახალი მარტვიროლოგიური საკითხავი შეუთხზავს ანტონ I კათალიკოსს (1720—1787 წწ.). ეს ავტორი კი ამბობს: რაჟდენის „ღვაწლსა, პირველ მოთხრობილსა, განგვიახლებს ნეტარი ბესარიონ მამათმთავარი“, მაშასადამე ძველად არსებულა მოთხრობა რაჟდენის ღვაწლის შესახებ; ბესარიონს კი ხელთ ჰქონია „ძველნი მატთანენი“ და „მიმოგანთესულნი უწყებანი“ (აქა-იქ მიმოგანტული ცნობები); ისინი მას გაუვრცია და განუახლებია. სამწუხაროდ, ამ წყაროებს ჩვენამდე არ მოუღწევია. ამიტომაც ძნელია გარკვევა, თუ ბესარიონმა მათგან რა როგორ გამოიყენა, ან საკუთრივ თავისი ფანტაზიით რა მიუმატა იმ ძველ „მატთანეებსა“ და „უწყებებს“. ერთი რამ მაინც ნათელია: „რაჟდენის წამებისა“ და „ვახტანგ გორგასალის ცხოვრების“ შედარება ცხადყოფს, რომ ბესარიონს ჯუანშერის თხზულებიდან „წამებაში“ უხვად შეუტანია, გაუვრცია და შეუვსია V საუკუნის ისტორიული ფაქტები, ისინი ახალი მოტივებით. მასვე შეუთხზავს ვრცელი რიტორიკული შესავალი, თეოლოგიური დიალოგები და რაჟდენის კულტთან დაკავშირებული ამბები. მაგრამ „წამებაში“ დაცულია ზოგიერთი ისეთი ფაქტი, რომ ისინი ბესარიონისათვის ცნობილი უნდა ყოფილიყო ჩვენამდე არმოღწეული წყაროებიდან“ (ლოლაშვილი, 1978: 74-75)

მეცნიერმა ყურადღება მიაქცია ერთ საინტერესო გარემოებასაც: „რაჟდენის წამებაში“ ზოგი რამ, რომელიც ჯუანშერს არ მოეპოვება, დიდად საინტერესოა და მათი წყაროდ უთუოდ ძველია. ასეთად შეიძლება ვიგულისხმოდ რაჟდენის შეპყრობა, სპარსთა მეფის წინაშე წარდგინება, წრომში გაგზავნა და ჯვარზე მისი განსისრვა (ისრებით მოკვლა). ეს ისტორიული რეალიები, რომელთა წყარო ჯერჯერობით მიუკვლეველია, გვაფიქრებინებენ, რომ XVIII საუკუნეში, მართლაც, არსებულა აქა-იქ „მიმოგანთესულნი უწყებანი“, რომელნიც მაშინ ბესარიონისათვის ყოფილა ცნობილი. რა თქმა უნდა, მნელია დღეს მათს ოდინდებობაზე საუბარი... ბესარიონის სიტყვებით თუ ვიტყვით, „პირველ ამის ნეტარისა არავისი სმენილ არს მარტვილობა ქვეყანასა ამას საქართველოსასა“. **სავარაუდოა, რომ როდესაც მისი ნეშტი გადაასვენეს წრომიდან ნიქოზში, მაშინ აღიწერა კიდევ რაჟდენის ღვაწლთა „პირველი მოთხრობა“. მართალია იგი დღეს დაკარგულია, მაგრამ მისი კვალი გვიანდელ წერილობითს წყაროებში აშკარად შემორჩენილა.** (ლოლაშვილი, 1978: 77-78)

დღეის მდგომარეობით რაჟდენის მარტვილობის შესახებ მეცნიერებაში აზრი კვლავ გაყოფილია და ის შეიძლება ასე დალაგდეს:

1. არსებობდა რაჟდენის წამების ძველი ტექსტი, რომელიც ევსტათი მცხეთელისა და იოანე საბანისძის ნაწარმოებებზე ადრე უნდა შექმნილიყო (ივ. ჯავახიშვილი, პ. ინგოროყვა, ივ. ლოლაშვილი)

2. არსებობს რაჟდენის წამების ტექსტი, რომელიც XI ან XII საუკუნეში უნდა შეექმნა უცნობ ავტორს (კ. კეკელიძე -ადრეული თვალსაზრისი, ს. ყუბანიევილი)

3. მე-18 საუკუნემდე ეს თხზულება არ არსებობდა და არსებული ტექსტი შექმნა ბესარიონ ორბელიშვილმა (კ. კეკელიძე, მ. ქავთარია)

ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში რაჟდენ პირველმოწამის ცხოვრების შესახებ ვკითხულობთ: „მოღწეულია რაჟდენის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი მეტაფრასული თხზულება. იგი შეუდგენიათ დაახლოებით XII ს. რაჟდენის ხსენების დღეს 3 აგვისტოს (ძვ. სტ.) ეკლესიაში საკითხავად. (ქსე, 1984: 304)

ვიკიპედიაში რაჟდენის მარტვილობას ასეთი ნარკვევი ეძღვნება: „როგორც ნაშრომიდან ჩანს, რაჟდენის „სიმხნე და მოთმინება“ ძველად აღწერილი, მალე დაკარგულა, ამიტომ ავტორს ახალი თხზულება დაუწერია. რადგანაც მის პერიოდში გავრცელებული ყოფილა მეტაფრასული მიმართულება, თავისი ნაშრომი მას ამ მიმართულებით განუვითარებია. ავტორს ხელთ ჰქონია ქართული მატიანების პირველი კრებული - „ცხოვრებანი ქართველთანი, რომელსაც ის ძველ მატიანეს უწოდებს. აქედან მას ამოუღია უმთავრესი ფაქტები ვახტანგისა და სპარსელების ურთიერთდამოკიდებულებისა, რომელმაც იმსხვერპლა რაჟდენი. აგრეთვე ხელთ ჰქონია „დავით და კონსტანტინეს მარტვილობა“. მამსადადამე თხზულების დაწერის თარიღად მიჩნეულია XII საუკუნის მეორე ნახევარი, მისი ავტორი უცნობია“

ცნობილია, რომ ჯუანშერის მოღვაწეობის ხანად მიჩნეული იყო XI საუკუნე, ბოლო მონაცემებით კი VIII საუკუნე. აქედან გამომდინარე მანამდე მომხადარი ამბების შესახებ ჯუანშერსაც სჭირდებოდა მასალები თავისი თხზულების დასაწერად, ვფიქრობთ, გარდა ზეპირსიტყვიერებისა, მას ხელთ ექნებოდა რაიმე ტექსტი, სადაც რაჟდენის წამების ამბები იქნებოდა გადმოცემული.

რაჟდენის ეტიმოლოგიის გარკვევისას მკვლევარები ქეთევან ჯახველაძე და ნინო პეტრიაშვილი შენიშნავენ: „ჩვენ მაინც არ გამოვრიცხავთ, რომ თხზულება შექმნილიყო წმინდა რაჟდენის შესახებ XI-XII საუკუნეებში“. (ჯერვალიძე & პეტრიაშვილი, 2016: 86)

გ. ანჩაბაძის დაკვირვებით, „რაჟდენ პირველმოწამის მარტვილობა“ XII საუკუნის ძეგლი უნდა იყოს. მის ავტორს ზოგ სხვა წყაროსთან ერთად ჯუანშერის თხზულებაც გამოუყენებია“. (ანჩაბაძე, 1999: 5)

ასე მივადევით მთავარ საკითხს: რატომ და საიდან მოდის გაორებული აზრი „რაჟდენის მარტვილობის“ დაწერის დროის შესახებ?

1859 წელს პროფ. მიხეილ ქანთარია ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბის პირველ ნომერში გამოაქვეყნა ვრცელი ფილოლოგიური ნარკვევი „ბესარიონ ორბელიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა“, რომელშიც გამოთქვა მოსაზრება იმის შესახებ, რომ რაჟდენისა და არჩილის წამებანი ორივე თხზულება დაწერილია XVIII საუკუნის მეორე ნახევარში... მეცნიერი შენიშნავდა: ჩვენი დაკვირვებით არჩილის, ისე წილკნელისა და რაჟდენის ცხოვრება წამებანის ვრცელი მეტაფრასტული რედაქციების დათარიღებისა და ავტორობის საკითხი შეიძლება ახლებურად გადაწყდეს. ხელნაწერთა კრებულების შესწავლა-შეჯერებამ და სხვა ისტორიულ-ლიტერატურული წყაროების გათვალისწინებამ მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ არჩილის მარტვილობა, ისე წილკნელ ეპისკოპოსის დაძინება და რაჟდენ პირველმოწამის წამება დაწერილია XVIII საუკუნის პირველ ოცეულში, ბესარიონ ბარათაშვილ-ორბელიშვილის მიერ და არა XII საუკუნეში, როგორც ეს დღემდე იყო სპეციალურ ლიტერატურაში აღიარებული.“ (მოამბე, 1959: 88)

კონკრეტულად რაჟდენის მარტვილობის შესახებ მ. ქანთარია წერს: „რაჟდენ პირველმოწამის მარტვილობის მეტაფრასტული რედაქცია აკად. კ. კეკელიძის აზრით, დაწერილია არა უადრეს მეთორმეტე საუკუნის მეორე ნახევრისა.. პატივცემული მეცნიერი ამოდის იქიდან, რომ თხზულება იცნობს დავით და კონსტანტინეს წამებას, რომელიც XII საუკუნის პირველ ნახევარშია დაწერილი.

სოლ. ყუბანეიშვილმა გაიმეორა აღნიშნული მოსაზრება და 1946 წელს გამოცემულ „ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათიაში“ ტექსტი სეიტანა შემოკლულად.. არსებობს სრული საბინინისეული გამოცემაც.

რაჟდენის წამების კიმენური რედაქცია აკად. კ. კეკელიძის დაკვირვებით არ არსებულა. მეტაფრასტს დაუწერია სულ ახალი შრომა, მას გამოუყენებია მთელი რიგი წყაროებისა, რომლებიც XII საუკუნის პირველი ნახევრისთვის უკვე არსებულა ჩვენში. (მოამბე, 1959: 89). იქვე მეცნიერი განიხილავს რა ზემოთ დასახელებულ ტექსტებს (არჩილის მარტვილობა, ისე წილკნელის დაძინება) სვამს კითხვას: „მაგრამ რა საფუძველი არსებობს იმისთვის, რომ ვამტკიცოთ არჩილის წამება, ისე წილკნელის დაძინება და რაჟდენის მარტვილობა ეკუთვნის ბესარიონ ორბელიშვილს და რომ, მამასადამე, დაწერილი არიან არა XII საუკუნეში, არამედ XVIII საუკუნეში.“ (მოამბე, 1959: 90).

პროფ. მ. ქანთარია ამასთან დაკავშირებით რამდენიმე არგუმენტს წამოსწევს. კერძოდ, 1. არცერთი აგიოგრაფიული კრებული XVIII საუკუნემდე არ იცნობს... არჩილისა და რაჟდენის მარტვილობის ვრცელ რედაქციას... არ შემონახულა არც ერთი მინიშნებაც კი მათი არსებობის შესახებ... საკითხავები XVIII საუკუნიდან ჩნდება ხელნაწერებში.

მეცნიერის მოსაზრების გასამყარებლად ეს პირველი არგუმენტი რომ მთლად მყარი არ არის შეიძლება განვამტკიცოთ თუნდაც ვეფხისტყაოსნის ხელნაწერების მაგალითზე, ჩვენამდე ხომ პოემის არც ერთმა ხელნაწერმა არ მოაღწია XII-XIII საუკუნეებიდან და არც XIV საუკუნიდან, XV საუკუნეც კი საეჭვოა, პოემის ჩვენამდე მოღწეულ ხელნაწერთა ასაკის გასასაზღვრად. აღარაფერს ვამბობ გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების შესახებ, რომლის ხელნაწერი მხოლოდ XIX საუკუნეში აღმოჩნდა. ასე რომ არ არის გამორიცხული ოდესმე რომელიმე ხელნაწერ კრებულში აღმოჩნდეს რაჟდენის მარტვილობის კიმენური რედაქცია.

2. მ. ქანთარიას თავისი მოსაზრების გასამყარებლად ასევე მოაქვს ეს არგუმენტი: ზემოთ დასახელებული ტექსტების ხელნაწერები დაწერილია ბესარიონის ხელით, მაგრამ რაც განსაკუთრებით საგულისხმოა, ეს ხელნაწერები ნასწორებია ბესარიონისვე მიერ. მათში შეტანილია დამატებები, ჩართულია ფრაზები, სიტყვები და ამავე დროს საჭიროების შემთხვევაში ამოღებულია და გადაშლილია სტრიქონები და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ბესარიონის ნასწორები მომდევნო ხანის კრებულებში, ნუსხებში შესულია, როგორც ძირითადი ტექსტის აუცილებელი ნაწილი.

ჩვენ შორს ვართ იმ აზრისაგან, რომ ბესარიონის კალამს არ ეკუთვნის მეტაფრასული თხზულება რაჟდენის შესახებ, მხოლოდ სარწმუნოდ არ მიგვაჩნია ის, თითქოს მანამდე ჯუანშერის ქრონიკის გარდა რაიმე საკითხავი ტექსტი არ არსებობდა რაჟდენის შესახებ.

რაჟდენის წამებასთან დაკავშირებით მეცნიერს ასევე ერთ-ერთ არგუმენტად აქვს დასახელებული ის გარემოება, რომ ანტონ კათალიკოსი, თავის „მარტირიკაში“ რაჟდენზე შექმნილ საკმაოდ ვრცელ ტექსტში იყენებს ციტატას ბესარიონის ტექსტიდან.

ვფიქრობ ეს არგუმენტი არ მიგვითითებს რაიმე განსაკუთრებულ ლიტერატურულ ფაქტზე, რაც დაადასტურებს ან უარყოფს რაჟდენის მარტვილობის კიმენური რედაქციის არსებობას. ამ შემთხვევაში ანტონი ხელმძღვანელობს თავისი წინამორბედი კათალიკოსის შრომიდან და ეს ბუნებრივიცაა.

სხვა ჩვენთვის ნაკლებად საინტერესო არგუმენტების (სულ ასეთი შვიდია) შემდეგ მეცნიერი ასკვნის: „ერთი სიტყვით, არჩილ მეფის, რაჟდენ პირველმოწამისა და ისე წილკნელის ცხოვრება-წამებანი ეკუთვნის ბესარიონ ორბელიშვილს, ისევე როგორც ლუარსაბ მეფის მარტვილობა და ბიძინა, შალვა და ელიზბარ ერისთავების შესხმა“ (მოამბე, 1959: 92)

ბუნებრივად ჩნდება კითხვა; საიდან ხელმძღვანელობდა კათალიკოსი ბესარიონი ამ ნაწარმოებების წერის დროს?

როგორც ცნობილია წმ. არჩილის ცხოვრება ქართლის ცხოვრებაშია შეტანილი და ის მიეწერება ლეონტი მროველს (არსებობს სხვა მოსაზრებაც). მიღებული თვალსაზრისით, ტექსტი ემყარება არჩილის თანამედროვის მონათხრობს და ჯუანშერის თხზულებას. ასევე მიღებული თვალსაზრისით XVIII საუკუნეში შესრულდა წამების ორი ახალი ვერსია ბესარიონ ორბელიშვილისა და ანტონ ბაგრატიონის მიერ.

როგორც თანამედროვე სამეცნიერო-საცნობარო ლიტერატურაშია შენიშნული ბესარიონმა მეტაფრასული ხერხით გადაამუშავა პირველწყაროები. (მეტრეველი, 2023: 341-343).

მაშასადამე, ამ შემთხვევაში ბესარიონ ორბელიშვილი არის არჩილის ცხოვრების ახალი ვერსიის შემქმნელი.

ლუარსაბის მარტვილობის შესახებ, როგორც აკად. კ. კეკელიძე წერს: „ბესარიონამდე ჩვენში ტრიალებდა სვინაქსარული რედაქცია ლუარსაბის მარტვილობისა, რომელშიც სულ მოკლედ იყო აღწერილი ღვაწლი ლუარსაბისა. ეს ღვაწლი იმდენად დიდი და დამახასიათებელი იყო ქართველების ცხოვრებაში, რომ საჭირო გამხდარა მისი დაწვრილებითი გაშუქება როგორც ფაქტიური, ისე იდეური მხრით და აი, ბესარიონს უკისრია ამგვარი შრომის დაწერა.“ (კეკელიძე, 1980: 353)

ამ შემთხვევაშიც ბესარიონი გვევლინება როგორც არსებული ტექსტის ერთგვარი გადამამუშავებელი და ახალი ვერსიის გამომყვანი.

„დამინება ისე წილკნელისა“: ამ ნაწარმოების შესახებ აკად. კ. კეკელიძე წერს: „ისე წილკნელის შესახებ ბესარიონ კათალიკოსამდე ჩვენ ვიცოდით მხოლოდ ის, რაც გადმოცემულია ასურელ მამათა ცხოვრებაში“. ჩანს ეს ცნობები არ აკმაყოფილებდა მკითხველ საზოგადოებას, რომელიც უფრო ვრცელ ცნობებს მოითხოვდა. ეს მოთხოვნილება დაუკმაყოფილებია ბესარიონს, რომელსაც გამოუყენებია ის მასალა, რაც მის დრომდე იყო ცნობილი და ზოგი რამ თვითონაც დაუმატებია“. (კეკელიძე, 1980: 352)

ბიძინას, შალვას და ელიზბარის მარტვილობის გარდა ყველა დანარჩენ სამ ნაწარმოებს, აკად. კ. კეკელიძე მიიჩნევს უკვე მანამდე არსებულიდან გამოყვანილ ახალ ვარიანტად.

ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლების მე-5 ტომში, სადაც შეტანილია ბესარიონ კათალიკოსის თხზულება „რაჟდენის მარტვილობა“, პროფ. მიხეილ ქავთარია წერს: „ბესარიონის კალამს ეკუთვნის რაჟდენ პირველმოწამის მარტვილობის მეტაფრასული რედაქცია...“

ბესარიონის ნაწარმოებამდე რაჟდენზე ჰაგიოგრაფიული მასალა არ არსებობდა. ამიტომ იგი ძირითადად ეყრდნობა ჯუანშერის ცნობებს (დიახ ცნობებს და არა რაიმე მოთხრობას მ. მ.), რომელსაც იგი ძველ მატიანეს ეძახის“. (ქალმ, V, 1989: 196)

მატიანეებთან დაკავშირებით ქვემოთ ვისაუბრებთ. აქ კი გვინდა რამდენიმე ადგილისა და სიტყვის კომენტარი გავაკეთოთ. ბესარიონი წერს: „„გნებავსთ თუ, რაითა ვიტყოდი კულად კერძობითსა ცხორებასა მისსა“. ამ კონტექსტში საინტერესოა სიტყვა „კულად“, რაც ნიშნავს ისევ. ეს წინადადება კი თანამედროვე ქართულით ასეთ იერს მიიღებს: „თუ გასურთ ისევ (კიდევ) გიამბოთ მისი პირადი ცხოვრების შესახებ“. ეს კონტექსტი მიუთითებს, რომ რაჟდენის ცხოვრების შესახებ უკვე რაღაც არსებობს, ცნობილია და ავტორს სურს კიდევ უამბოს მკითხველს ამ დიდი მოწამის თავგადასავალი. ახლა რაც შეეხება მატიანეს.

პატივცემული მეცნიერი ამ სიტყვას წარმოადგენს მხოლობითის ფორმით. სინამდვილეში კი ბესარიონი მას იყენებს მრავლობით რიცხვში. ბესარიონი წერს: „იყო ესე სამგზის სანატრელი, ვითარცა **ძუელნი მატიანენი გუაუწყებენ და მიმოგანთესილობანი ესევითართა უწყებათანი**, (ხაზგასმა ჩვენია მ. მ.) ვითარმედ იყო ნათესავი სპარსი.“ (ქალმ, 1989: 67)

როგორც ვხედავთ, ბესარიონი პირდაპირ მიუთითებს, რომ რაჟდენის შესახებ მანამდე ცნობილი იყო მატიანეებიდან (და არა ერთი ვთქვათ ჯუანშერის მატიანიდან, როგორც ამას პროფ. მ. ქავთარია მიიჩნევს) და „მიმოგანთესილი უწყებებიდან“. რაც ეხება გაფანტულ ანუ ხალხში არსებულ უწყებებს, აქ უნდა მოვიაზროთ ის ცოდნა, რაც რაჟდენის შესახებ არსებობდა. რომ ეს ასეა და რაჟდენზე უკვე არსებობდა რაღაც ტექსტები, ამას გვიმოწმებს ანტონიც თავისი შრომის შესავალში: „რომელსაცა ღუაწლსა პირველმოთხრობილსა განგვიახლებს ნეტარი სულთა ჩვენთა ქებად უაღრეს ძალისა ახოვანებისათვის რაჟდენისათა“ (ქალმ, 1980: 138).

ტექსტის შინაარსი ასეთია: „(ეს არის) იგი, რომელიც **პირველად მოთხრობილ ღუაწლს განგვიახლებს** ჩვენი სულების ნეტარებისთვის ქებად, რაჟდენის განსაკუთრებული ძალისა და ახოვანების გამოსაჩენად.“

ვიქრობთ, სადაო არ უნდა იყოს, რომ რაჟდენის შესახებ ბესარიონამდე ჯუანშერის ცნობის გარდა გარკვეული ტექსტ(ებ)ი არსებობდა, რომელსაც იგივე ბესარიონი ძველ მატიანეებს ეძახის. იმასთან დაკავშირებით, რომ ამ ძველ მატიანეებში, რაჟდენის წამების მხატვრული ტექსტი უნდა მოვიაზროთ, ამ მოსაზრებას გვიმტკიცებს, ის აზრი, რომ ბესარიონის სახელთან დაკავშირებულ სხვა წმინდანთა ცხოვრების ანალიზისას ყველგან ხაზგასმულია, რომ ამ ნაწარმოებებამდე არსებობდა სხვა ტექსტები ძველი მატიანეების სახით. მაგალითად „წმ. დავითისა და კონსტანტინეს წამების“ შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში ვკითხულობთ: „მათი ცხოვრება და ტრაგიკული აღსასრული ადრევე უნდა აღწერილიყო კიმენური რედაქციის სახით, მაგრამ მას ჩვენამდე არ მოუღწევია.“ (ალიბეგაშვილი, სირაძე & სულავა, 2013: 239)

არჩილის წამების შესახებ პროფ. ნ. სულავა ვარაუდობს, რომ ის თავდაპირველად უნდა ყოფილიყო დამოუკიდებელი თხზულება. „შეიძლება ვივარაუდოთ, რომ წმ. არჩილის წამება“ თავდაპირველად დამოუკიდებელი თხზულება უნდა ყოფილიყო და შემდეგ უნდა შეეტანათ „ქართლის ცხოვრებაში“ ჯუანშერის თხრობის გაგრძელებისა და შევსების მიზნით“. (ალიბეგაშვილი, სირაძე & სულავა, 2013: 196)

გავევთ ამ ხაზს.

როგორც ცნობილია რაჟდენის შესახებ ცნობებს ვპოულობთ ვახუშტი ბატონიშვილთან. „ჟამთა ამათ შეიპყრეს ვახტანგის ცოლის მამამძუძე რაჟდენ, რომელმან მოკლნა მრავალნი გოლიათნი დს მხნედ იბრძოდა. ამას აიძულებდნენ უარყოფად ქრისტესსა, ხოლო მან არა უარჰყო ქრისტე და იწამა მათ მიერ ქრისტესთვის“ (ვახუშტი, 1973: 109).

უდავოა, რომ ვახუშტი თითქმის სიტყვასიტყვით იმეორებს ჯუანშერის ცნობას. რაკი ის მამამისს ვახტანგ მეექვსეს გაჰყვა რუსეთში 1725 წელს, არ ეცოდინებოდა ამ დროს შესაძლებელია ჯერ კიდევ არ დაწერილი ბესარიონის ნაწარმოები.

ახლა რაც ეხება ვახუშტის თხზულების ხელნაწერებს. ის რამდენიმე არსებობს და ეს ჩვენი კვლევის მიზანს არ წარმოადგენს. ქართლის ცხოვრებაში ზემოთ ციტირებულ ტექსტს აქვს შენიშვნა აშიაზე . „წამება წმიდისა რაჟდენისა“. ანუ ტექსტს, რომელსაც ვახუშტი გვთავაზობს რაჟდენის შესახებ, გვერდით ერთერთი გადამწერი უთითებს წყაროს და ეს არის „წამება წმინდისა რაჟდენისა“. ეს ხელნაწერი R(N 934 H ფონდი) დავით რექტორს გადაუწერია 1813 წელს. გასაგებია, რომ მას ეცოდინებოდა ბესარიონ ორბელიშვილის მეტაფრასული თხზულება, მაგრამ არა გვგონია, რომ მას ეს ტექსტი ჰქონოდა მხედველობაში როდესაც თავის შენიშვნას აკეთებდა, რადგან, როგორც ზემოთ ვთქვით, ის, თუნდაც შენიშვნაში, არ მიუთითებდა ისეთ თხზულებას, რომლის შესახებ ავტორს - ვახუშტი ბაგრატიონს წარმოადგენაც არ ექნებოდა. ვფიქრობთ, აქ გადამწერი ასახელებს რაჟდენის მარტვილობის ძველ ჩვენთვის უცნობ „მატიანეს“, ან იმ ტექსტს, რომელსაც მეცნიერთა დიდი ნაწილი XII საუკუნით ათარიღებს.

დასკვნა. საკითხის შესწავლის მაგისტრალური ხაზის გათვალისწინებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ გარდა ჯუანშერის წამებაში მოხსენიებული რაჟდენის წამების ცნობისა, უნდა შექმნილიყო რაჟდენის წამების ამსახველი ტექსტი, რომელმაც ჩვენამდე ვერ მოაღწია.

ბესარიონ ორბელიშვილისათვის უეჭველად იქნებოდა ცნობილი რაიმე ტექსტი რაჟდენის ცხოვრებისა და მისი სულიერი მოღვაწეობა-აღსასრულის შესახებ, რომლის გავრცობილ და მხატვრულად გადამუშავებულ ვერსიასაც მისი თხზულება უნდა წარმოადგენდეს.

ჩვენი აზრით, რაჟდენის ცხოვრებისა და აღსასრულის მიმართ დაინტერესების თვალსაზრისით უნდა გამოვყოთ სამი ეტაპი: 1. რაჟდენის თანამედროვე ან უახლოეს პერიოდში მოღვაწე ავტორის ტექსტი, რომელმაც ჩვენამდე ვერ მოაღწია, მეორე: მე-11- მე-12 საუკუნეების ავტორის მიერ მომზადებული ტექსტი, რომელიც ჩვენთვის ცნობილია როგორც საბინინისეული რედაქცია, მესამე ბესარიონ-ორბელიშვილის მიერ დაწერილი მეტაფრასული თხზულება და ანტონ კათალიკოსის ტექსტი რაჟდენის შესახებ.

გამოყენებული ლიტერატურა

- ალიბეგაშვილი, გ., სირაძე, რ., & სულავა, ნ. (2013). *ქართული ლიტერატურა*. I (V-XVIII). თბილისი: გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“.
- ანჩაბაძე, გ. (1999). სასანური ირანის წინააღმდეგ ვახტანგ გორგასალის პირველი ომის შესახებ. კრებულში: *საქართველო ვახტანგ გორგასალის ეპოქაში*. „მემატიანე“.
- ბატონიშვილი, ვახუშტი, (1973). აღწერა სამეფოსა საქართველოსა. *ქართლის ცხოვრება*. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. IV. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.
- ინგოროყვა, პ. (1978). *თხზულებათა კრებული შვიდ ტომად*. ტ. IV. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.
- კეკელიძე, კ. (1980). *ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია*. თბილისი: გამომცემლობა „განათლება“.
- კეკელიძე, კ. (1957). *ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან*. IV. თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

- ლოლაშვილი, ი. (1978). *ქართული წიგნისა და მწერლობის საწყისებთან*. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.
- მეტრეველი, ს. (2023). *ქართული აგიოგრაფია (IV-X სს) ენციკლოპედიური ლექსიკონი*. თბილისი: საქართველოს აკადემიური გამომცემლობა.
- მოამბე. (1959). საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე. N1.
- ქართული საბჭოთა ენციკლოპედია*. (1984). ტ. 8. თბილისი.
- ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები (ქალძ)*. (1989). ტ. V. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.
- ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები (ქალძ)*. (1980). ტ. VI. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.
- ჯავახიშვილი, ი. (1977). *თხზულებანი თორმეტ ტომად*. ტ. VIII. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- ჯერვალიძე, ქ., & პეტრიაშვილი, ნ. (2016). ანთროპონიმ რაჟდენის ეტიმოლოგიისათვის. *ქართველოლოგია*. N3.
- ჯუანშერი. (1955). *ქართლის ცხოვრება*. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. I. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.

REFERENCES

- alibegashvili, g., siradze, r., & sulava, n. (2013). *kartuli lit'erat'ura [Georgian Literature]*. I (V-XVIII). Tbilisi: Publishing House „Sakartvelos matsne“.
- anchabadze, g. (1999). sasanuri iranის ts'inaagmdeg vakht'ang gorgasalis p'irveli omis shesakheb [About the First War of Vakhtang Gorgasali against Sasanian Iran]. In *sakartvelo vakht'ang gorgasalis ep'okashi [Georgia in the Era of Vakhtang Gorgasali]*. „Mematiane“.
- bat'onishvili, vakhush't'i, (1973). aghts'era sameposa sakartvelosa [Description of the Kingdom of Georgia]. *kartlis tskhovreba [The Georgian Chronicles]*. Text established according to all the main manuscripts by S. Kaukhchishvili. IV. Tbilisi: Publishing House „Sabchota Sakartvelo“.
- ingoroqva, p'. (1978). *tkhzulebata k'rebuli shvid t'omad [Collection of Works in Seven Volumes]*. Vol. IV. Tbilisi: Publishing House „Sabchota Sakartvelo“.
- k'ek'elidze, k'. (1980). *dzveli kartuli lit'erat'uris ist'oria [History of Old Georgian Literature]*. Tbilisi: Publishing House „Ganatleba“.
- k'ek'elidze, k'. (1957). *et'iudebi dzveli kartuli lit'erat'uris ist'oriidan [Studies from the History of Ancient Georgian Literature]*. IV. Tbilisi: Tbilisi State University Publishing House.
- lolashvili, i. (1978). *kartuli ts'ignisa da mts'erlobis sats'qisebtan [At the Beginnings of Georgian Books and Writing]*. Tbilisi: Publishing House „Sabchota Sakartvelo“.
- met'reveli, s. (2023). *kartuli agiografia (IV-X ss) entsik'lop'ediuri leksik'oni [Georgian Hagiography (IV-X Centuries) Encyclopedic Dictionary]*. Tbilisi: Georgian Academic Publishing House.
- moambe [Moambe]. (1959). Bulletin of the Institute of Manuscripts of the Academy of Sciences of the Georgian SSR. N1.
- kartuli sabch'ota entsik'lop'edia [Georgian Soviet Encyclopedia]*. (1984). Vol. 8. Tbilisi.
- dzveli kartuli agiografiuli lit'erat'uris dzeglebi (kaldz) [Monuments of Ancient Georgian Hagiographic Literature (MAGHL)]*. (1989). Vol. V. Tbilisi: Publishing House „Metsniereba“.
- dzveli kartuli agiografiuli lit'erat'uris dzeglebi (kaldz) [Monuments of Ancient Georgian Hagiographic Literature (MAGHL)]*. (1980). Vol. VI. Tbilisi: Publishing House „Metsniereba“.
- javakhishvili, i. (1977). *tkhzulebani tormet' t'omad [Works in Twelve Volumes]*. Vol. VIII. Tbilisi: Tbilisi University Publishing House.
- jervalidze, k., & p'et'riashvili, n. (2016). antrop'onim razhdenis et'imologiisatvis [For the etymology of the anthroponym Razhden]. *kartvelologia [Kartvelology]*. N3.
- juansheri. (1955). *kartlis tskhovreba [The Georgian Chronicles]*. Text established according to all the main manuscripts by S. Kaukhchishvili. I. Tbilisi: Publishing House „Sabchota Sakartvelo“.